ქართული აზრი

№ 17 ნიუ-იორკი. ივნისი 1957 წ. GEORGIAN OPINION New-York. June 1957

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენადაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე.“

აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიუ-იორკი. ივნისი 1957.

სასოს წარკვეთა არა სჯობს,
სჯულშია დაყენებული;
მრავალ გზის ქმნილა-იმედი
ბოლოს მოსდევდეს ქებული...

საით მივდივართ და როგორია ჩვენი სვლა, ეს მხოლოდ განგების მიუთხრობლობას უწერია. სვლა ჩვენი ეკლიანია. ერთობ ძნელია ამ გზის გაკვლევა. უსაზღვრო დაბრკოლებანი წინუდევთ ქართველ ერს, რომ მისი შინმიმავალი ხომალდი გაუსხლტეს „სცილლასა და ხარიბდას“ და ჰპოვოს სანუკვარი ნავთსაყუდელი.

დიდი არის ძალა, რომლის მზაკვრობა და თვალთმაქცური მუხანათობა ობობის ქსელივით შემოჰკვრია ჩვენს დამონებულ მიწა-წყალს და, სულთამხუთავათ აღჩენილი, ამღვრევს და აღშფოთებს ქართველობის სულისკვეთებას.

ამ აბეზარმა სისხლისმწოველმა ძალამ მოგვტაცა და ჩაგვიქრო მზის სხივი, 26 მაისს რომ აღმობრწყინდა და ნათელი მოჰფინა ხანდაზმულ ივერიას.

26 მაისის სხივოსნობას გულატოკებული ელოდებოდა ქართველი ერი იმ დღიდან, როცა რუსის „სალდათის“ წაღა დაებჯინა ჩვენს გზაფართოებზე და პირობის გამტეხმა მტერმა წაჰგლიჯა შეშფოთებულ სამეფოს მისი ისტორიული სახე, მისი განთვისებული სვლა თავისუფალ კაცობრიობასთან პარალელურათ, როგორც სხვა ქვეყანათა თანაბარი წევრი და თანამგზავრი, როგორც სუვერენული დამცველი, შემნახველი და წარმზიდველი ხალხის ბედიღბალისა.

117 წელიწადი გაგრძელდა უცხოთა ბრძანებლობა, მაგრამ გახანგრძლივებულმა ძალადობამ — იმ ერთათერთ მიზნის მისაღწევათ, რომ ჩაექრო ქართული სული და აღმოეფხვრა ისტორიულათ შეთვისებული ეროვნულ-სახელმწიფური ჩვეული შესაძლებლობანი შემკრებილობით ერის სამსახურში, — ვერ მოღუნა ქართველობის მიერ შემტკიცებული განცდანი წართაცებულ თვითმყოფობისათვის.

ასე ვლიდნენ დროთაღრიცხვანი, აღბეჭდილნი შეიწროებითა და გამუდმებულ მუქარითა მტერთაგან, შეუპოვრობითა და განსაცვიფრებელ გამძლეობით ქართველთაგან.

რუსეთის მიერ უფლების დათრგუნვას გაუძლო ქართველმა ერმა, ისევე როგორც საუკუნოებს მიბარებულ დღეთა შინა უძლებდა რიცხვუდებ სხვადასხვა ურდოებს, დასალეწათა და გასანადგურებლათ რომ ეკვეთებოდნენ ქრისტიანულ მცნების მზიდველ სამეფოს, ელლინთა და რომაელთა კულტურით შეზავებულს იმ თავითვე.

საქართველოს ბევრი ჭირვარამი გადაუტანია. ისეთი დროც ჰქონია, როცა მისი სახელმწიფური არსებობა ისტორიულ სასწორზე ქანაობდა და თვით ერიც თითქოს უნდა ამოშლილიყო და გამქრალიყო გეოგრაფიულ რუკიდან. გარნა უმძიმეს პირობებში გაკაჟებული უტეხი ქართველობა არ ჰნებდებოდა მის თავზე დამტყდარ ქარცეცხლს, კვლავ იკრეფდა პოტენციურ ძალას, კვლავ, ვით ფენიქსი, ახლად იშვოდა და მეტის მუყაითობით განაგრძობდა სუვერენობის განმტკიცებას.

ისტორიულ მტერთაგან ამიზნულ შემუსვრასა და გაცამტვერებას გამოჰსხლტდა საქართველო! ის დარჩა ამეტყველებული, თაოსნობით აღჭურვილი წევრი განათლებული კაცობრიობისა, და ეს ისეთ პირობებში, როცა წინააზიაში შექმნილმა გრგვინვამ დაფუშა და დაამსხვრია მისი ისტორიულათ თანამგზავრი მეზობლები, აწ ეთნოგრაფიულ - არხეოლოგიურ მუზეუმებში ჩასვენებულნი...

რუსეთში მომხდარ ბოლშევიკურ გადატრიალებას ქართველობა დაჰხვდა როგორც მთლიანი და ერთობლივი, სახელმწიფურათ განმზადებული ერთეული, ეროვნული შემეცნებით შემოსილი და აღმაღლებული, მტკიცე ამსახველი თვის ისტორიულ დანიშნულებისა, მომლოდნელი შესაბამო ხელსაყრელ პირობებისა წართაცებულ სუვერენობის დაბრუნებისათვის.

რუსეთი, თავისთავათ ცხადია, არაფერს დასთმობდა საქართველოს სასარგებლოთა და საკეთილოთ, უკეთუ ბოლშევიკური ხელისუფლების დამკვიდრების პირველ წლებში გამოჰნახავდა რაიმე შესაძლებლობას „დიდისა და განუყოფელის“ ძველს ფორმებსა და საზღვრებში დაცვისათვის. იმ ხანებში გაბოლშევიკებული რუსეთი თავის საკუთარ ხალხს — ველიკორუსებსაც — ჭაპანწყვეტით იმაგრებდა ხელში. ამ გარემოებით, და სხვა არაფრით, აიხსნება მისი „მეგობრული“ გამოსაუბრება განთავისუფლებულ საქართველოსთან, 26 მაისს 1918 წელს თავისი ნებითა და უნარით რომ აიყარა ამ სახელმწიფოს მიერ დადებული მუხრუჭი. საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენა უკვე ცნობილი იყო **დე ჟურე**-თ თითქმის ყველა სახელმწიფოთაგან, როცა რუსეთმა, ისიც ორი წლის დაგვიანებით, „დაადასტურა“ საქვეყნო გამოძახილი და უარი განაცხადა საქართველოს ტერიტორიაზე და ებრვე სხვა მის სამკვიდრებელზე.

რვა თვეც ვერ გასძლო ბოლშევიკური რუსეთის ქვემძრომმა და ყალბმა დიპლომატიურმა აქტმა. შემდგომში ის, ცოტათ თუ ბევრათ გაძლიერებული, მიჰხვდა ჩადენილის უვარგისობას და ყოველგვარი მზაკვრული ზომებით ცდილობდა ვნება მიეყენებინა საქართველოს მყუდროებისათვის: „მეხუთე კოლონების“ შექმნა საქართველოდან იწყება! რუსების „საელჩო“ კიროვის ხელმძღვანელობით, არსებითათ საპროპაგანდო და სხვაგვარ „დარტყმის“ ცენტრათ ქცეული, თავსუყრიდა რუსეთიდან გამოძახილ კრიმინალებს და სხვადასხვა ჯურის „გაჩეკისტებულ“ ჰარამხადებსა და თითებზეჩამოსათვლელ ქართველ დეკლასიურ ნაბერტყ ელემენტებს, რომელთაც ევალებოდათ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის გასაბჭოება ნაირნაირი ჩხვლეტითა და ავაზაკური მოქმედებით. ამავე თვეთა განმავლობაში რუსეთი ამხედრებდა საქართველოს წინააღმდეგ მის მეზობლებსაც, და როცა დაეპატრონა მთელს კავკასიას, საქართველოს დაპყრობაც „დღისწესრიგათ“ მიითვალა.

დროა უკვე, რომ გამოვეთხოვოთ ვიღაცეების მიერ შეთხზულ „მითს“, თითქოს რუსეთის წითელი არმიის შემოსევა ჩვენში სტალინის პერსონალურ თაოსნობას შეადგენდეს და რომ ლენინისაგან ეს ყაჩაღური ვერაგობა გადამალული ყოფილიყო: ყველანი ბითუმათა და ერთსულოვნათ ლამობდნენ საქართველოს დანგრევას! რუსეთი, მთლიანათ აღებული, ეკვეთა მის „თვალში მეჩოთირე“ და მისი სიმყრალის მაუწყებელ სახელმწიფოს; მან **„ურბი ეტ ორბი“** მოჰფინა ჭორი, თითქოს საქართველო გაასაბჭოვა თვით ქართველმა ხალხმა, გაანთავისუფლა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მონობისაგან და ასე და ამგვარათ მოუპოვა სრული თავისუფლება. ამ ამყაყებულ ტყუილს რუსეთი ეხლა ამეორებინებს მის ყურმოჭრილ ქართველ დამქაშებსაც, როგორც, მაგალითათ „აკადემიკოს“ ჯანაშიას, მის რუსულათ გამოცემულ 1946 წელს —„ისტორია გრუზიი“-ში

„მეგობრული“ ტრაქტატი სანაგვე კალათაში ისროლეს. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო:

ყოველგან საძაგელია
მუხთალი, მიუნდობელი,
ღადარი, პირის-გამტეხი,
აღთქმისა დაუპყრობელი...

მოგვტაცეს და წარგვიტაცეს სხივოსანი 26 მაისი! ხოლო შუქი მისი ჟამთა დენაში უფრო მეტათ ნათობს ქართველთა გულში, უფრო მეტათ აცხოველებს ქართველთა შემკრებილობითს გარდაწყვეტილებას — ყველგან და ყოველთაგან საკმარისათ ცნობილს, — განიშორონ მონობის უღელი და ამხედრებულათ შეუტიონ აბეზარ მტერს!

ხმალი არა ვკრათ, არ ვარგა,
უფრორე გვიძაბუნებენ,
ჭაბუკათ ვინლა გვახსენებს,
დიაცნიც დაგვიწუნებენ...

რ. ინგილო

საქართველოს დაპყრობის გამართლება

(დასასრული. იხ. №16.)

კიდევ ერთი საბუთი რუსეთის ბოროტი განზრახვისა და არა საქართველოს ნებაყოფლობით შეერთებისა. უკანასკნელი მეფე გიორგი გარეშე მტრებისაგან შევიწროებული და შინ უფლისწულთა უთანხმოების და ურჩობის გამო ცდილობდა რუსეთთან მჭიდრო დაკავშირებას ხელშეკრულების საფუძველზე. მისი გაჭირვებული მდგომარეობით რუსეთი ვერაგულად სარგებლობდა და ამზადებდა აღმოსავლეთ საქართველოს ძალით შეერთებას. მაშინ ტფილისში მყოფი პავლე იმპერატორის კამერგერი — მუსინ-პუშკინი, თავის მოხსენებაში ასე ასაბუთებდა საქართველოს დაპყრობის აუცილებლობას: შემოვიერთებთ ფიზიკურად მდიდარ და ნოყიერ მიწა-წყალს, უზრუნველვჰყოფთ კავკასიის საზღვრებს მთიელთა თავდასხმიდან, ფართო ასპარეზი გაგვეხსნება სპარსეთ-ინდოეთთან სავაჭროთ, თურქეთთან ბრძოლის დროს რუსეთს საშუალება ექნება ანატოლიის მხრივ დაემუქროს, როგორც თურქეთს, ისე სპარსეთს, ქათლ-კახეთის შემოერთება გამოიწვევს დასავლეთ საქართველოს შემოერთებას.

აი, ნამდვილი გეგმა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისა, რაც სისრულეში მოყვანილ იქმნა მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში.

ქართველი კომუნისტები 1801 წ. და 1921 წ., მეფისა და ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობას ერთნაირად დღესასწაულობენ და სიხარულით აღნიშნავენ ამ ისტორიულ თარიღების დიდ მნიშვნელობას საქართველოსათვის და მას ნებაყოფლობით შეერთებათ ასაღებენ.

ანალოგიურ მოვლენას ჰქონდა ადგილი 1921 წ. რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და დასდო მასთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულობა. ცოტა ხნის შემდეგ, წითელმა არმიამ, ომის გამოუცხადებლად, გადმოლახა საქართველოს საზღვრები, დაიპყრო ის, დაამხო დემოკრატიული რეჟიმი და დააწესა საოკუპაციო ხელისუფლება, იმ მოტივით, ვითომც საქართველოს კანონიერ მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებულმა მუშებმა და გლეხებმა დახმარება სთხოვეს რუსეთს.

მართლაც, ისე როგორც ახლა უნგრეთში, შექმნეს სახელდახელოთ კადარის მთავრობა რუსეთის დახმარების მიზნით, მაშინ შულავერში ბოლშევიკებმა შეადგინეს მოღალატე ქართველი კომუნისტებიდან საბჭოთა მთავრობა, რომელიც შემოსეულ ბოლშევიკურ ურდოებს უკან მოყვებოდა და ხალხის ნებასურვილის წინააღმდეგ, უცხო ჯარების ხიშტებზე დაყრდნობით საქართველოში გაბატონდა.

გაზეთ „კომუნისტის“ მეთაური სწერს: საქართველოს მშრომელებს კარგათ ესმით, **საბჭოთა რუსეთი რომ არა, არ იქნებოდა საბჭოთა საქართველო.** ეს სრული ჭეშმარიტებაა, მართლაც წარმოუდგენელია თავისუფალმა ერმა ნებაყოფლობით მიიღოს საბჭოთა რეჟიმი, ნებაყოფლობით დამოუკიდებლობაზე ხელი აიღოს და მოსკოვის მონობის უღელი დაიდგას. ყველგან სადაც საბჭოთა წყობილება დამყარდა, ეს მოხდა ძალდატანებით, ცეცხლით და მახვილით და არა ნებისმიერად. ამიტომ და ამის გამოა, რომ ყველგან დამპყრობელი ბოლშევიზმის წინააღმდეგ სტიქიურად წარმოიშვა ანტი-რუსული და ანტი-საბჭოური მოძრაობა, ეროვნულ-კომუნისტური სულისკვეთება და მიმართულება, რაც ასე აშფოთებს ამ ჟამად და ძილს უფრთხობს მოსკოვის მესვეურებს.

„საბჭოთა ხალხის დაუძინებელი მტრები, ყველა ჯურის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტები ცდილობენ უნდობლობა, შუღლი და მტრობა ჩამოაგდონ სოციალისტურ ერებს შორის, ზიანი მიაყენონ საბჭოთა ხალხების დიად მეგობრობას.“ („კომუნისტის“ მეთაური.) აქ „ბურჟუაზიული ნაციონალისტები“ არაფერ შუაშია. უნდობლობას და შურს სთესავს თვით საბჭოთა რეჟიმი, მისი მახინჯი ლენინური ეროვნული პოლიტიკა, დამყარებული ერთა უთანასწორობაზე, დიდი რუსეთის ბატონობაზე, რუსული კულტურის უპირატესობაზე, რუსიფიკაციაზე და ეკონომიურ სფეროში კოლონიალურ პოლიტიკაზე.

ხშირად ქართველი კომუნისტები და ამ შემთხვევაშიაც რუსეთის მფლობელობას ამართლებენ დიდი ქართველი მოღვაწეების (ნ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი და სხ.) ნაწერებიდან ამოღებულ ციტატებით. ბოროტათ იყენებენ მათ ავტორიტეტს, ამახინჯებენ მათ აზრებს, ნათქვამს სხვა და სხვა კონკრეტულ შემთხვევაში, საცენზურო პირობების გამო. დღეს ყველამ იცის და მათ შორის კომუნისტებმაც, რომ ილია ჭავჭავაძის და მთელი 19 საუკ. მოღვაწეების მახვილი დამიზნებული იყო დამპყრობელ რუსეთის წინააღმდეგ, მათი დაუცხრომელი ზრუნვა და მისწრაფება მიმართული იყო ეროვნულ თავისუფლებისაკენ. მათი „სახელის გატეხვა“ თავიანთი საქციელის გასამართლებლად და „საბჭოთა რუსეთთან მეგობრობის გასამტკიცებლად“ ამ თავითვე განწირულია.

ცნობილია, რომ ყველა დამპყრობელი დაპყრობილ ერებს ისტორიას უწერდნენ. მერე როგორ უწერდნენ? ისე როგორც ახლა ბოლშევიკების „მეცნიერ-ისტორიკოსები“ სწერენ საქართველოს ისტორიას: თავდაყირა აყენებენ ისტორიულ ფაქტებს, არ ერიდებიან სინამდვილის დამახინჯებას, ხშირად ისტორიულ დოკუმენტების ფალსიფიკაციასაც კი ეწევიან.

ანტიური ხანის დამპყრობელებისათვის გაუგებარი იყო სხვა ერთა კულტურა, გარეშე რომის კულტურისა. მათთვის ყველაფერი მიუღებელი იყო რაც რომის ბატონობას აფერხებდა. ისინი სპობდნენ და ანადგურებდნენ მათ ცივილიზაციას, სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას, რელიგიას, ენას და სიმდიდრეს რომისაკენ მიეზიდებოდნენ.

ერის ფიზიკური დამარცხება უფრო მეტია, ვიდრე ბრძოლის ველზე ომის წაგება. ერს განსაცდელი მაშინ უდგება, როცა დამპყრობელი ცდილობს დამარცხებულის სულიერ სამყაროს დანგრევას, მის სხეულში მისთვის უცხო სული შთაბეროს, რომელმაც უნდა დაავიწყოს მისი წარსულის დიდების მოგონება და მის მეხსიერებაში წარხოცოს მისი ეროვნული ცნობიერების წარმოდგენა.

ასეთი იყო ყოველი დროის დამპყრობელი იმპერიალიზმის ბუნება. ბოლშევიზმიც ამ გზით მიდის. ის ისევე მსუნაგი აღმოჩნდა, როგორც რომის და სხვა აზიურ ქვეყნების დამპყრობლები. სიტყვით ქადაგებენ ერთა თავისუფლებას, სინამდვილეში სპობენ მათ ეროვნულ არსებობას, აჩანაგებენ მათ კულტურას, ახდინენ ეთნოგრაფიულ აღრევას, ბატონობის შენარჩუნების მიზნით, სცემენ ზნეობას და ამეფებენ მახინჯ კომუნისტურ მორალს, ბღალავენ სარწმუნოებას, ამცირებენ ეროვნულ ღირსებას, სჯიჯგნიან და ახშობენ თავისუფალ აზრს და რაც მთავარია ახალ კოლონიალურ სისტემით, საბჭოთა კავშირის ერებს ყვლეფენ და მათ ეროვნულ დოვლათს მოსკოვისკენ მიეზიდებიან.

ისე როგორც ძველი კოლონიალური სახელმწიფონი, სხვა ერთა დაპყრობას ასაბუთებენ და ამართლებენ მათში კულტურის და ცივილიზაციის შეტანით, ბოლშევიკებიც ასევე იქცევიან, კომუნიზმის ნიღაბით დაჟინებით აწარმოებენ რუსული ენის და კულტურის დანერგვას. ფორმალურად მოკავშირე რესპუბლიკები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ატრიბუტებს ატარებენ, ფაქტიურად მათ არავითარი უფლებები არა აქვთ. (მოჩვენებითია ახლახან რესპუბლიკების ზოგიერთ უფლებათა მინიჭებაც.) თვით შინაურ საქმეებშიაც მეტად შეზღუდულნი და დამოკიდებულნი არიან მოსკოვის ცენტრალურ მთავრობისაგან. „კულტურული აღორძინება და ეკონომიური წარმატება,“ ხომ მთლად რუსეთის წყალობათაა გამოცხადებული. რუსული ენა სავალდებულოა არა მარტო საბჭოთა ერების, არამედ სატელიტებისათვისაც, როგორც ინტელიგენციის, ისე მდაბიო ხალხისათვის. თვითმპყრობელ რომანოვებსაც არ უწარმოებიათ რუსიფიკაცია ასეთი ვრცელი მასშტაბით და გაქანებით, როგორც ამას ახლა აწარმოებს ბოლშევიკური ხელისუფლება და ისიც ერთა დიადი მეგობრობის სახელით.

ყოველ შემთხვევაში, თუ ეს ყოველივე ასე არ სჯერათ ქართველ კომუნისტებს და მაინც

(გაგრძელება იხ. მე-2-ე გვერდზე)

პანრუსიზმი და პანარაბიზმი

(წერილი საფრანგეთიდან)

1

როგორც მოვლენებმა დაამტკიცეს, ნასერი თავისი ქვეყნის აბსოლუტური მფლობელი აღმოჩნდა. ქვეყნის, რომელიც ჯერ კიდევ გამოსული არ არის ფეოდალური ხანიდან და რომლის მსხვილ მემამულეთ ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ საშუალო საუკუნეების ფეოდალიზმის ნიშანდობლივი პრივილეგიები. ეგვიპტელი ხალხი ჯერ ისევ მწარედ განიცდის ერთი მუჭა ფეოდალების ჩაგვრას და ეკონომიურ სიდუხჭირესთან ერთად, უფლებრივადაც განსხვავდება თავის „პატრონ“ ფეოდალებისაგან. მათთვის მონარქიის გაძევებას და ე. წ. რევოლუციას არავითარი შვება არ მოუტანია და ამით ოდნავათაც არ გაუმჯობესებულა მათი ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა.

მონარქიის დამხობის შემდეგ ბიკბაში (კოლონელი) ნასერი ეროვნული შოვინიზმისა და რელიგიური ფანატიზმის მეთაურად მოევლინა ეგვიპტის ხალხს. ამას თავისი პოლიტიკური გამართლებაც აქვს. ამგვარი პროპაგანდით ნასერს თავისი ერის ღარიბ-ღატაკი ფენების ყურადღება სხვა მიმართულებით მიჰყავს და საკუთარ სიდუხჭირეზე ფიქრის შესაძლებლობას უკარგავს. სამაგიეროდ ნასერმა მათ დაუსახა მიზნად არამუსულმანური ერების „იმპერიალისტური“ ერების მტრობა და სიძულვილი.

ამავე დროს ნასერი არ არის კომუნისტი. ის სასტიკად სდევნის ეგვიპტელ კომუნისტებს და მათ ციხეებში ალპობს. მისი სურვილია გახდეს არაბული ქვეყნების რელიგიური შოვინიზმის მეთაური და არაბეთის დიდი მუსულმანური იმპერიის შექმნაზე ოცნებობს, რომელიც გადაიშლება სპარსეთის ყურიდან ოკეანემდე.

ვინც ეგვიპტის ეკონომიურ ვითარებას გაეცნობა და მისი დიქტატორის, ნასერის მიზნებს წარმოიდგენს, მისთვის ნათელი იქნება სურათი, რომლისთვისაც რუსული მარქსიზმის თეორეტიკოსებს და პრაქტიკოსებს ომი უნდა გამოეცხადებინათ ნასერისათვის და ის კაცობრიობის მტრად დაესახათ. მაგრამ, სასწაულებრივად, კომუნისტური სამყარო ნასერის მხარეზე მოხვდა, მისი დამცველი და მხარის დამჭერი: რუსეთმა დაიცვა ნასერი და მისი ინტერესები ლონდონის (აგვისტოში) კონფერენციაზე, დაიცვა გაერთიანებული ერების სხდომებზე და ყველგან, სადაც კი შუა აღმოსავლეთის საკითხი დადგა და სადაც სუეცის არხის სარგებლიანობის მოგვარებას შეეხნენ. რუსეთის ელჩი კაიროში გახდა ნასერის საუკეთესო მრჩეველი, გამამხნევებელი და წამქეზებელი ყველა საკითხებში, რაც დასავლეთთან ურთიეერთობას ართულებს და ამწვავებს. ნასერის ინტერესია, რომ დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებს ლახვარი ჩასცეს, ისინი დაასუსტოს და არაბეთიდან განდევნოს. ამისათვის მას სჭირდება მოკავშირე და დამხმარე. ეს როლი ნებისმიერად იკისრა კომუნისტურმა რუსეთმა, რადგან ეგვიპტის დიქტატორის ნება-სურვილი მთლიანად ემთხვევა და ავსებს კრემლის ბატონების მისწრაფებას.

რუსეთის პოლიტიკური მეთაურების ამ გვარი მოქმედება ახალი არ არის. ეს არის მათ მიერ ვითომ უარყოფილი და საჯაროდ განახებული სტალინის პოლიტიკის გაგრძელება. კაცობრიობას ჯერ კიდევ ცოცხლად ახსოვს 1939 წლის აგვისტოს 23-ში, როდესაც სტალინ-მოლოტოვმა თეატრალური დეკლამაციებით აღიარეს ჰიტლერის მოკავშირეობა და მას მეგობრობის პაქტით შეეკრნენ. ამ დროს რუსეთი გერმანიასთან შეაუღლა თავისუფალი კაცობრიობის სიძულვილმა. იგივე სიძულვილი აერთიანებს ეგვიპტის დღევანდელ დიქტატორთან. თუმცა რუსეთის პოლიტიკოსებს ამ გვარი დემონსტრაციები ხელს არ უშლის, რომ ამავე დროს დემოკრატიულ სახელმწიფოებთან (მათი ტერმინოლოგიით კაპიტალისტურ სამყაროსთან) მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი აღიარონ და დაიცვან.

რუსეთმა შესანიშნავად იცის, რომ შუა და ახლო აღმოსავლეთი ის ნევრალგიური პუნქტია, საიდანაც მას შეეძლება ევროპას და მთელ თავისუფალ კაცობრიობას უდიდესი გართულება შეუქმნას და დააზარალოს. ამიტომ არის, რომ მას თავს დასტრიალებს და უალერსებს. თუ ორიოდე წლის წინ რუსეთი ხიშტით უსინჯავდა გვერდებს ამერიკას კორეაში და საფრანგეთს ინდოჩინეთში, დღეს ის ნასერის საშუალებით ურტყამს ევროპას; მას აწუხებს, ნერვებს უშლის და მის პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრების აღრევას ცდილობს.

ერთი წუთით დავაკვირდეთ გეოგრაფიულ რუკას და ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთში სამი კონტინენტი — აზია, აფრიკა, ევროპის მბრუნავი რგოლი, ანუ ღერძია. აქ გადის დასავლეთ-აღმოსავლეთის დამაკავშირებელი გზები. სწორედ აქ იხლართება დასავლეთის და აღმოსავლეთის საკომუნიკაციო, სასიცოცხლო ხაზები. ახალი ამბავი არავისთვის არ არის, რომ რუსეთს ეს კუთხე, სწორედ ამიტომ, განსაკუთრებულად აინტერესებს.

ეკონომიურად გალატაკებული, კულტურულად ჩამორჩენილი ქვეყნები დიდი ხანია მოსკოვის ყურადღების ცენტრში არიან. ბოლშევიკებს სწორედ აქ შეუძლიათ წყალი ადვილად აამღვრიონ და შიგ თევზები იჭირონ. ამ მოსაზრებით მათ გარკვეულად არაბული ქვეყნების დამცველის და მოკავშირის პოზა მიიღეს და თითქოს დარწმუნებულნიც არიან, რომ მათ იქ გაბატონებას ხელს ვეღარაფერი შეუშლის.

დღევანდელი რუსეთი ცდილობს სისრულეში მოიყვანოს და ხორცი შეასხას ძველი, იმპერატორული რუსეთის ოცნებას. ყველასათვის ცნობილია, რომ ინდოეთის ოკეანეზე გამოსასვლელად და მისი სანაპიროების დასაპყრობად პეტრე პირველმა ბეკოვიჩ-ჩერკასკის მეთაურობით ძლიერი ექსპედიცია გაგზავნა, მაგრამ ეს მათი მარცხით გათავდა და რუსეთს დიდი ხნით დაეკარგა იმედი, რომ ამ ოცნების განაღდებას ხმელეთის გზით მოახერხებს და ამიტომ მისი ყურადღება საზღვაო გზებზე გადავიდა. ერთი მხრით შავი ზღვა: ბოსფორდარდანელის ხელში ჩაგდებით და ხმელთა შუა ზღვაზე გამოსვლით, მეორეს მხრივ კასპიის ზღვა, კავკასია, სპარსეთის ყურე ინდოეთის ოკეანეზე გასაბატონებლად. ამ მიმართულებით კრემლის მიზნების განხორციელება ახლო და შუა აღმოსავლეთის საკითხებსაც სწყვეტავს და მას ეუფლება. იმპერატორების რუსეთმა, სწორედ ამის გამო, თოთხმეტი ომი გადაიხადა ოსმალეთთან, მაგრამ იმპერიალისტური რუსეთის ეს მიზანი, დღემდე, მაინც ოცნებად დარჩა. 1807 წელში ალექსანდრე პირველი ნაპოლეონს პირდაპირ ეუბნებოდა: „მოგვეცით და წაიღეთ რაც გსურთ, მაგრამ დაგვიტოვეთ კონსტანტინეპოლიო“. კონსტანტინეპოლი? შესძახა ნაპოლეონმა, „არასოდეს, ეს ხომ მსოფლიოში გაბატონება იქნებაო“. ერთ ნახევარი საუკუნის შემდეგ სტალინი იალტაში აცხადებდა: „ყოვლად შეუძლებელია გაგრძელდეს მდგომარეობა, რომელიც ოსმალეთს აძლევს საშუალებას ჩვენზე, კისერში ხელი ჰქონდეს წაჭერილიო“ და მოითხოვდა, რომ ხმელთა შუა ზღვის შემაერთებელი სრუტეები რუსეთისათვის გადაეცათ. რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი ნიკოლოზ მეორეც პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში ამბობდა: „მე მსურს ვიყო კონსტანტინეპოლში არა როგორც ოკუპანტი, არამედ, როგორც მპყრობელიო“.

1841-1855 წლების საზავო ხელშეკრულებით და პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ლოზანის და უფრო გვიან მონტროს კონფერენცია და შეთანხმებები ნათელსჰყოფენ თუ დიდ სახელმწიფოებს რაოდენი ინტერესი აქვთ ახლო და შუა აღმოსავლეთში.

1945 წლის ივნისის 26-ს მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული სტალინი აუქმებს 1921 წელში ოსმალეთთან დადებულ მეგობრობის პაქტს და ხმელთაშუა ზღვაზე თავისუფალ გასავალს მოითხოვს. 1946 წლის დასაწყისში და იმავე წლის ოქტომბერში სტალინი სრუტეებში სამხედრო ბაზებს და საქართველოსომხეთის ისტორიულ საზღვრების აღდგენას სთხოვდა ოსმალეთს. ეს სურვილი სტალინის რუსეთმაც ვერ შეასრულა ანგლო-საქსონური ქვეყნების ენერგიული მოქმედების გამო.

1947 წლის აპრილის 11-ს შეერთებული შტატების ყოფილმა მინისტრმა ვალახმა განაცხადა: „დღეს უახლოესი ნევრალგიური პუნქტია ახლო აღმოსავლეთი, ხოლო ის შეიძლება გაფართოვდეს შორეულ აღმოსავლეთამდეო“. ორი დღის შემდეგ (ე. ი. აპრილის13-ს) სენატორმა ედვინ ჯონსონმა სთქვა: „მზადდება მესამე მსოფლიო ომი, ეს ისე მართალია, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ და ვსუნთქავთ.

საქართველოს დაპყრობის გამართლება

(დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე)

ამტკიცებენ, რომ ყოველგვარი ბედნიერება მოსკოვიდან მოდის, რა საჭიროა ამისათვის ისტორიის დამახინჯება, ისტორიული მოვლენების რუსული იმპერიალიზმის თვალსაზრისით გაშუქება. სხვა რომ არა იყოს რა, რა საკადრისია უტყუარ ისტორიულ ფაქტების უარყოფა და ქართველი ერის ისტორიის გაყალბება.

ამ საუკუნის დასაწყისს (1901 წელს) ქართველ თავად-აზნაურობის მცირე ნაწილმა, ზეიმით იდღესასწაულა საქართველოში რუსეთის თვითმპყრობელობის დამყარების ასი წლის იუბილე. მაშინ ეს აქტი, ეროვნულ ღირსების და თავმოყვარეობის შეუფერებელი, მთლიანად ქართველი ერის მიერ დაგმობილი იქმნა. ამ იუბილეს გადახდას სამარცხვინოდ სთვლიდა ყველა საზოგადოებრივ - პოლიტიკური დაჯგუფება, და რაც მთავარია დიდმა ილია ჭავჭავაძემაც დაგმო და სამარცხვინო ბოძზე გააკრა მათი მომწყობნი.

ეროვნულ თავმოყვარეობას, რომ თავი დავანებოთ, აბა, სად ნახულა, სად გაგონილა ვინმე ერის დაპყრობას დღესასწაულობდეს და მას დიდ ისტორიულ მნიშვნელობის მოვლენად აკანონებდეს. ნუ თუ ქართველ კომუნისტებს დღევანდელი კოლონიალური ხალხების განთავისუფლება არაფერს ეუბნება! ან რათ დასჭირდათ წარსულის მონური სულის გამომჟღავნება, გადაგვარებულ რუსეთის მომხრე თავადებთან დანათესავება და ამით რათ შეურაცხჰყვეს ქართველი ერის ღირსება?

ჩვენთვის მიუღებელია, ამა თუ იმ ერთან, რა გინდ დიდი კულტურის შემოქმედი არ უნდა იყოს, მით უფრო დამპყრობელ ერთან, უნებურ და ძალდატანებით კულტურულ და ეკონომიურ დროებით ურთიერთობას, მსხვერპლად შეეწიროს საკუთარი ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებელი თვითარსებობა.

ს. ჭირაქაძე

26 მაისი

(დასაწყისი იხ. №16-ში.)

ქრისტეს დაბადების შემდეგი დროის მწერლობაში ქართველების შესახებ უფრო ვრცელი და დაწვრილებითი ცნობებია დაცული. მოვიყვან კიდევ ერთს: პირველ საუკუნეში (66-24 ქ.შ.) საქართველო მოიარა ცნობილმა ბერძენმა გეოგრაფმა და ისტორიკოსმა სტრაბონმა, (მისი დედა ტომით იყო ჭანი ე. ი. მეგრელი) რომელმაც ადგილობრივი ენაც იცოდა. მის დროს საქართველოში არსებობს ორი სახელმწიფო: ივერია და კოლხიდა. სტრაბონის ცნობით „ივერია მდიდარი და მშვენივრად დასახლებულია მომეტებულ ნაწილად ქალაქებითა და სოფლებით, სახლები დახურულია კრამიტით და აშენებულია სახუროთმოძღვრო ხელოვნების წესების თანახმად. აქ არის ბაზრები და სხვა საზოგადოებრივი შენობებიო“. აღორძინებული ყოფილა ვაჭრობა — ადგილობრივი და სატრანზიტო. აღმოსავლეთთან, სპარსეთ-ინდოეთ-ჩინეთთან რომის იმპერიის მთავარ ცენტრებისაკენ მიმავალი ერთი უმთავრესი გზა საქართველოზე გამოდიოდა. ივერიიდან კასპიის ზღვამდე გარდა სანაოსნო გზისა არსებულა კარგი ქვაფენილი გზაც. ამ გზითა და მდინარე მტკვრით აღმოსავლეთიდან წამოღებული საქონელი აღწევდა ივერიას და იქიდან ისევ ქვაფენილი გზებით და მდინარეებით ფაზისს, შავ ზღვაზე. მეორე დიდი სავაჭრო მაგისტრალი მიდიოდა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ დარიალის ხეობით. ქვეყნის დიდი აღორძინების მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ იმავე სტრაბონის ცნობით მდინარე რიონის ზემო წელში, სადაც ხომალდები ველარ მოძრაობდენ, გამართული ყოფილა 120 ხიდი. ხოლო სოხუმში (მაშინ დიოსკურია) სავაჭრო ოპერაციების ნორმალური მსვლელობისათვის ქალაქის მმართველობას დაქირავებული ჰყოლია 70 სხვა და სხვა ენის მცოდნე თარჯიმანი.

ამ დროიდან მოყოლებული — მე განგებ ეს უძველესი ცნობები მოვიყვანე — ქართველობას საკუთარი სახელმწიფო ჰქონია, საკუთარი ეროვნული კულტურა უქმნია, საკუთარი მწერლობა და ენა, საკუთარი ეროვნული მეობა შეუნახავს და როგორც ერი და სახელმწიფო მე-19-ე საუკუნემდე მოსულა. ამ ორი ათასი წლის მანძილზე ბევრი შავი, მაგრამ ბევრი ნათელი დღეებიც გამოგვივლია. აღორძინებისა და აყვავების ხანაში — ბაგრატ მესამიდან გიორგი ლაშამდე — საქართველოს სახელმწიფო ძლიერებამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ მაშინდელ ევროპასა და წინა აზიაში, ის პირველხარისხოვანი ფაქტორია. თამარის საქართველოს მოსახლეობა 8 მილიონამდე აღწევს, ხოლო ინგლისში იმავე ხანაში მხოლოდ 3 მილ. მოსახლეობაა. ამ ხანაში სახელმწიფო შემოსავალი უდრის 3.750 ათას ოქრ. მანეთს. აქ არ შედის ვასალ. ქვეყნებიდან შემოუსლი ფული, რაც უდრიდა 10 მილ. ოქრ. ფრანკს. იმავე ხანაში (1300 წ.) ინგლისის შემოსავალი უდრიდა 4 მილ. ოქროს ფრანკს და საფრანგეთისა 3 მილიონ ოქრ. ფრანკს.

საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური გავლენა და ავტორიტეტი ვრცელდება შავიდან კასპიის ზღვამდე და ჩრდ. კავკასიიდან აზრუმ-ტრაპეზუნამდე. მაგრამ ეს არ არის მხოლოდ სამხედრო ძლიერებით, ფიზიკური ძალით გავლენა — მაშინდელი საქართველო მთელი ახლო აღმოსავლეთისათვის უდიდესი კულტურული ცენტრია, რომელიც ტონს აძლევს მეზობელი ქვეყნების კულტურულეკონომიურ ცხოვრებას: პოეტები, მწერლები, მხატვრები, ხუროთმოძღვრები, ფილოსოფოსები, ექიმები, ვექილები და კანონმდებლები, ფინანსისტები, ადმინისტრატორები და მხედრები — ისეთ ნიჭსა და შემოქმედებით უნარს იჩენენ, რომ დღემდე, 8 საუკუნის შემდეგაც, სპეციალისტების აღფრთოვანებას იწვევენ.

ქვეყნიერების ამ კუთხის ისტორია რომ ნორმალურად განვითარებულიყო, ლოღიკურად და ბუნებრივად, ქრისტიანული კულტურის დიდი ცენტრის, ბიზანტიის მემკვიდრედ საქართველო უნდა დარჩენილიყო. მაგრამ ისტორიის ნორმალური პროცესი ამ მხარეში შეწყვეტილ იქმნა მონღოლების თავდასხმით, რომლებმაც მაშინ წალეკეს მთელი სივრცე, მონღოლეთიდან აღმოსავლეთ გერმანიამდე. დაკნინდა და დასუსტდა ძლიერი სახელმწიფო, დაიყო და დანაწილდა რამდენიმე სამეფოდ. ეს დაყოფილი და დასუსტებული ქვეყანა კიდევ იმდენ სულიერ ძალას ინარჩუნებს, რომ 4 საუკუნის მანძილზე იგერიებს სპარსთა და ოსმალთა პერიოდულ, დაუსრულებელ იერიშებს. ხან ოდნავ უკან დახევით და გარეგნულად კომპრომისის გზით, ხან ისევ იერიშზე გადასვლით, ხან ხერხით და ხან თავგანწირვით — ამ საუკუნოების ქართულ პოლიტიკას ახასიათებს მაკიაველის შორსმჭვრეტელობა და ტალეირანის ელასტიურობა. „საცა არა სჯობს გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანო“ — როგორც ეტყობა ეს ძველთაგან კარგად სცოდნიათ ქართველებს, ამიტომ როცა არა სჯობდა ეცლებოდნენ, უკან იხევდნენ, მაგრამ როგორც კი შესაძლებელი გახდებოდა ბრძოლას ანახლებდენ და საბოლოვო ანგარიშში, დიდი მსხვერპლის ფასად, მაგრამ მაინც ქართველობა გამარჯვებული გამოდიოდა. საქართველომ მოინელა ჩინგის-ხანის და თემურ ლენგის იმპერიები, გაუძლო ოტომანების იმპერიის ძლევამოსილებას, მოინელა შაჰ-აბაზი და აღა-მაჰმად-ხანი და თუმცა ორ ნაწილად გაყოფილი მაგრამ მაინც საკუთარ ენის, მწერლობის, სარწმუნოების და სახელმწიფოს მქონე ერად მე-19-ე საუკუნეს მოაღწია.

აი, აქ, მე-19-ე საუკუნის მიჯნაზე, როცა საფრანგეთის დიდი რევოლუციის შედეგად პიროვნებისა და მცირე ერების თავისუფლების იდეა უზენაეს ღირებულებად იქმნა აღიარებული, ევროპის აღმოსავლეთ საზღვარზე რუსეთმა უძველესი კულტურის ქრისტიანული სახელმწიფო მოსპო, თავისუფალი ერების რიცხვიდან ამოშალა და საკუთარ ტერიტორიას ადმინისტრატიულ ერთეულად შეუერთა.

ორიოდე სიტყვა ამ დიდ ეროვნულ დრამაზე: თანამედროვე რუსეთის სახელმწიფო საერთაშორისო ასპარეზზე გამოდის მე-14 საუკუნის პირველ ნახევრიდან: იოანე კალიტას (1328-1340) სატახტო ქალაქი გადმოაქვს მოსკოვში და ამით საფუძველი ეყრება მოსკოვის სამეფოს. მონღოლების (თათრების) ბატონობის ხანაში ფეხადგმული რუსული სახელმწიფო მემკვიდრეობად იღებს და ისაკუთრებს მმართველობის მონღოლურ დესპოტიურ ფორმას. იმ დროიდან დღემდე რუსეთის ისტორია მმართველობის სხვა ფორმას არ იცნობს. ხალხი დესპოტიზმს ეჩვევა, უთვისდება და თავის სოციალ-კულტურულ განვითარებას მართველობის ამ ფორმას უგუებს. იმავე დროიდანვე იწყება რუსეთის ექსპანსია ახალი მიწებისა და ქვეყნების დასაპყრობად. დაპყრობითი პოლიტიკა განსაკუთრებული სიძლიერით ხორციელდება იოანე მრისხანეს (1547-1584) შემდეგ. 1552 წელს ის იპყრობს ყაზანს და სამი წლის შემდეგ, 1555 წ. ასტრახანის სახანოსაც. ამ დროიდან რუსეთის სახელმწიფო დიდი სიჩქარით იწყებს სამხრეთისაკენ ზრდას და უახლოვდება კავკასიას.

კავკასიელებიდან რუსეთთან პოლიტიკური მჭიდრო კავშირის დამყარების ინიციატივა ეკუთვნის ყაბარდოელებს, რომლებმაც ასტრახანის სახანოს დაცემის შემდეგ, 1555 წ. სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქსიზმი-ლენინიზმი-სტალინიზმი

(გაგრძელება. იხ. №16)

1. კლასთა ბრძოლის თეორია.

კარლ მარქსი ამტკიცებდა, რომ კაცობრიობის საზოგადოების ისტორია, იმ დროიდან, როდესაც ადამიანი გამოვიდა პირველ ყოფილი მდგომარეობიდან, წარმოადგენს კლასთა ბრძოლის ისტორიას. თვით საშუალო საუკუნეების რელიგიური ბრძოლებიც კი, მარქსის აზრით, არსებითად კლასთა ბრძოლის ნიადაგზე სწარმოებდა. არ არსებობს მარქსის ნაწარმოები, საგაზეთო წერილი, ან მოწოდება, რომ ის არ უბრუნდებოდეს კლასთა ბრძოლის პრობლემას. ამ მხრივ უფრო მეტად ცნობილია მისი შრომა „კლასთა ბრძოლა საფრანგეთში“. გერმანიის გამოჩენილი სოციოლოგი ვერნერ ზომბარტი თავის შრომაში „გერმანიის სოციალიზმი“ გვ. 23, კარლ მარქსის ასეთ შეხედულების შესახებ შენიშნავს, რომ აღნიშნული დებულება „თავშივე ყალბი და შემცდარია, ვინაითგან კლასთა ბრძოლა თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების ღვიძლი შვილია და წინა ხანამ ის არ იცის“.

რა დიდს და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კარლ მარქსი კლასთა ბრძოლის პრობლემას უფრო ნათლად და გარკვევით სჩანს მის მიერ 1865 წელს გამოშვებულ ერთ შრომაში, რომლის სათაურია: „სამუშაო ხელფასი, ღირებულება და მოგება.“ ამ შრომაში მარქსი დიდი სიმკაცრით ილაშქრებს მუშათა პროფესიონალურ კავშირების წინააღმდეგ, გაბოროტებული — ეკვეთება პროფესიონალური კავშირების მოღვაწეებს, მასხარად იგდებს მათ იმის გამო, რომ ისინი მუშათა ყოველდღიური მდგომარეობის გაუმჯობესებას სცდილობენ არსებული კაპიტალისტური საზოგადოების ურთიერთობაში, ლამობენ თვით მუშის მიერ შექმნილ ღირებულების სამართლიან განაწილებას, იმის მაგიერ რომ თავიანთი მეცადინეობა და მუშათა შეერთებული ძალა, ორგანიზაციების სახით, აამოქმედონ თვით კაპიტალისტური საზოგადოების გასანადგურებლად. უნდა შევნიშნო აქვე, რომ მარქსი მიისწრაფის თანამედროვე საზოგადოების განადგურებისაკენ და არა მის გადასაკეთებლად. კარლ მარქსი მუშათა ყოველ დღიურ მატერიალურ მდგომარეობას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, პირიქით, ის მიაჩნდა მას ხელშემშლელ ფაქტორად, რომელიც რევოლუციურ ცეცხლს ანელებდა და მუშათა კლასს კაპიტალიზმის დამსხვრევაზე ხელს აღებინებდა. მუშათა წმინდა ეკონომიური ორგანიზაციების მოღვაწეობას ის სთვლიდა რევოლუციური ბრძოლის წინააღმდეგ „შეთქმულებად.“ ამ ეპიტეტს ის ხშირად ხმარობდა.

ამ საკითხში ლენინიც და სტალინიც „საბოლოოდ“ მას ჰბაძავდნენ. ცნობილია, ლენინი და სტალინი მუშათა პროფესიონალურ კავშირებს ზიზღითა და დაცინვით იხსენიებდნენ ,მეტადრე ინგლისის მუშათა ტრედუნიონებს და ამერიკის მუშათა მოძრაობის პრაქტიკას. ასეთი მოძრაობა მათ მიაჩნდათ წმინდა წვრილ ბურჟუაზიულ ქარაფშუტობად. ამ პუნქტში მარქსი-ლენინი-სტალინი ერთნი არიან, „ერთად მიდიან, მიიმღერიან.“

მარქსი, ასეთი ყალბი, ცხოვრების მიერ არ გამართლებულ წარმოდგენიდან მივიდა თანამედროვე საზოგადოებაში არსებულ სხვა და სხვა ფენათა საერთო ინტერესების აბსოლუტურ უარყოფამდე. მოვიგონოთ მისი საყოველთაოდ ცნობილი გამოთქმა, რომ მუშათა კლასს, პროლეტარიატს სამშობლო არა აქვსო, რომელმაც უდიდესი აზრთა აღრევა გამოიწვია და თვით მუშათა მოძრაობას განუზომელი ზიანი მიაყენა. ამავე დროს ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ ხსენებული დებულება უდიდესი შეცდომა იყო და სინამდვილემ არ გაამართლა. მოვიგონოთ პირველი მსოფლიო ომი, როდესაც ევროპაში ლოზუნგი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“ არ განაღდდა, სამაგიეროთ კი მუშა მუშას სასიკვდილოთ ეკვეთა და მეორე ინტერნაციონალი „ხუხულასავით“ დაინგრა. ნურვინ ჩამითვლის ასეთ გამოთქმას ნიშნის მოგებად. აქ მხოლოდ ტიტველი სინამდვილის, ფაქტის აღნიშვნაა. გამოირკვა ნათლად, რომ პროლეტარიატს სამშობლო ჰქონია, ერის სხვა ფენებთან საერთო ინტერესები ჰქონია, რომლის დასაცავად სისხლის დაღვრაც საჭირო და აუცილებელი ყოფილა.

რასაკვირველია, ერში არსებულ სხვა და სხვა ფენათა საერთო ინტერესების გამომჟღავნება თვალსაჩინოდ სჩანს ერის საერთო უბედურობის — ომის დროს, ხოლო საერთო ინტერესები მშვიდობიანობის დროსაც არსებობს. ხომ ცხადია, რომ მუშისათვის სულ ერთი არ არის წარმოების საქმენი, რომლის მონაწილე ისიც არის, კარგად მიდის თუ ცუდად, ვინაიდგან წარმოების ზარალი და მისი საქმეთა უკან წასვლა უშუალოდ მასაც მოხვდება. შეიძლება მას სამუშაო მოესპოს და ულუკმაპუროდ დარჩეს. ქვეყნის ეკონომიური უკანსვლა ერის ყველა ფენას ერთნაირად ხვდება და, შეიძლება ითქვას, მშრომელს პირველ რიგში და უფრო მწვავედ.

მარქსი ღრმად სცდებოდა არა მარტო იმაში, როცა ამტკიცებდა, ერში შემავალ ნაწილთა ინტერესთა შეურიგებლობას, არამედ უფრო მეტად იმაში, რომ თითქოს ეკონომიური ცხოვრების ტენდენცია საზოგადოებას უფრო მეტ კლასიურ წინააღმდეგობისაკენ მიაქანებდა. მარქსს მხედველობიდან გამოეპარა, რომ საზოგადოების ცხოვრება, ან რომელიმე სხვა მოვლენაში არსებობს ერთი ტენდენციის გარდა. მისი საწინააღმდეგოც, რომელიც ჰქმნის ერთნაირ წონასწორობას, ჰარმონიას, ურომლისოდ არავითარი წინსვლა და განვითარება არ შეიძლება. ცხოვრების შემდეგმა განვითარებამ გამოარკვია, რომ თანამედროვე საზოგადოებაც, მარქსის სიტყვა რომ ვიხმაროთ, განვითარების ასეთს „რკინის კანონებს“ ემორჩილება.

ასეთი ტენდენცია უფრო თვალსაჩინო გახდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. და მართლაც, შედარებით იმ დროსთან, როცა მარქსი სწერდა თავის სამ ტომიან „კაპიტალს“, მშრომელთა ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა ძირბუდიანად შეიცვალა. დღეს მუშა აღარაა პარია-მონა, როგორიც იყო ის მარქსის დროს, კაპიტალის პირველი დაგროვების ხანაში, როცა მაგალითად ინგლისში მუშა 16-18 საათს მუშაობდა, მოკლებული იყო ყოველ გვარ უფლებებს და თავის მძიმე შრომაში უმნიშვნელო საფასურს ღებულობდა. დღეს მუშა თანასწორი და თავისუფალი მოქალაქეა თავისი ქვეყნისა. ის მუშაობს 8 საათს დღეში, ამერიკაში ბევრ დარგში 40 საათს კვირაში და ამავე დროს მისი ხელფასი, როგორც შედარებით ისე აბსოლუტურად გაცილებით მეტია, ვიდრე მარქსის დროს. სამუშაო პირობებიც სულ სხვაა, ყველგან შემოღებულია მშრომელის დაზღვევა: ავადმყოფობისაგან, უმუშევრობისაგან და ინვალიდობისაგან, რაც „კაპიტალის“ ავტორის დროს არ არსებობდა.

გარდა ზემო აღნიშნულისა „კაპიტალისტური ურთიერთობის“ განვითარების შემდეგმა ტენდენციამ გამოავლინა ორი უაღრესად მნიშვნელოვანი თვისება, რომელიც მარქსის მიერ შეუმჩნეველი დარჩა.:

პირველი: ტეხნიკის განვითარებისა და მისი ქარხანა-ფაბრიკაში გამოყენებით, მუშა ხდება მონაწილე იმ სარგებლობისა, რომელსაც ეს უკანასკნელი იწვევს წარმოებაში. სარგებლობა მჟღავნდება არა მარტო ხელფასის მომატებით, არამედ სამუშაო დროს შემცირებით. ამერიკაში მიახწიეს რა მუშებმა ბევრ დარგში 40 საათიან სამუშაო კვირას, მუშათა პროფესიონალური კავშირების მიერ დაისვა კვრაში 35 საათის მუშაობის საკითხი, რის მიხწევას ტეხნიკის განვითარება, მრეწველობის უზარალოდ წარმოებას შესაძლებლადა ხდის.

მეორე: თვით მუშათა კლასის წიაღში მოხდა ერთგვარი დიფერენციაცია, სხვა და სხვა კათეგორიებად დაყოფა, რომელთა ინტერესები ხშირად ერთი და იგივე არ არის.

ყველა ეს იყო სულ სხვა ტენდენცია, რომლის წარმოშობაში თვით ადამიანი იღებდა მონაწილეობას, ვინაითგან ისტორია სწარმოებს არა „რკინის კანონებით,“ არამედ თვით ადამიანის ხელით. ასეთი ტენდენცია „კაპიტალისტური საზოგადოებისა“ მარქსის მიერ დარჩა შეუმჩნეველი, რითაც მისი თეორია კლასთა ბრძოლისა, რბილად რომ ვსთქვათ, ცალმხრივ ალმოჩნდა.

კლასთა ბრძოლის თეორიის მოკლე ანალიზმა, ვფიქრობ, დაგვანახა, რომ კარლ მარქსის მოძღვრების დასახელებული ნაწილი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, ვნება კი კაცობრიობას უდიდესი მოუტანა, რომელშიც მისი მოწაფეები — ლენინი და სტალინი პირველ რიგში დგანან. ეს თეორია ამავე დროს, აღმოჩნდა უზნეო-უმორალო, ვინაიდგან კლასთა

ამ ომის სარბიელად იქცევა შუა აღმოსავლეთი და მიზეზად ნავთი. და ასკვნიდა — მომავალი ომის ფრონტი გაიშლება ოსმალეთის უდაბნოებში.“

მოვლენების განვითარებას რუსეთი გულზე ხელ დაკრეფილი არ უყურებს და ყოველგვარ ზომებსა ღებულობს, რომ ხელსაყრელ მომენტში შეტევაზე გადავიდეს. 1948 წლიდან რუსეთმა დაიწყო ძლიერი საჰაერო საზღვაო ბაზის მოწყობა ალბანეთის სანაპიროზე (ადრიატიკის ზღვაზე). კერძოდ ვალონის რაიონში. იტალიის ნავთსადგურ ბრინდიზიდან 70 კილომეტრით დაშორებული.

ვალონის ნავთსადგური მათ გაადიდეს და გააფართოვეს. მის ახლოს გააშენეს დიდი სამხედრო ჰაეროდრომები. უმთავრესი სამხედრო დასაყრდენი პუნქტი კი მოსკოვმა სასენოს (ხმელთა შუა ზღვიდან ადრიატიკის შესავალ ყურეში) კუნძულზე მოაწყო, რომელიც ვალონის ყურეს იცავს. აქ სანაპირო კლდეების ქვეშ გამოთხარეს და შიგ გამართეს წყალ ქვეშა ნავების უდიდესი თავშესაფარი, მრავალი სახელოსნოებით და საწყობებით. ამ ჟამად სამუშაო მთლიანად დასრულებულია და თავშესაფარი ასზე მეტ წყალქვეშა ნავს იტევს.

კუნძულ სასენოს ადგილმდებარეობა ისეთია, რომ მისი და ვალონას საჰაერო საზღვაო ბაზები, საჭიროების შემთხვევაში, მთლიანათ კეტავენ ადრიატიკის ყურეს და საფრთხეში აგდებენ მოკავშირეების ხმელთა შუა ზღვის ფლოტს, რომელიც ადვილად გადაიქცევა სასენო კლდეების ძირში ჩასაფრებულ წყალქვეშა ნავების დარტყმის ობიექტად.

ეგვიპტის უკანასკნელმა ამბებმა რუსეთს შეუადვილა ხმელთა შუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ჩარეულიყო.

ჩვენს მეხსიერებაში ჯერ კიდევა ცოცხლობს ნასერის სიტყვა, რომლითაც მან მსოფლიოს აუწყო სუეცის არხის ნაციონალიზაცია და ისიც გვახსოვს, რომ მან მოურიდებლად განაცხადა: „ჩეხოსლოვაკური იარაღი, რომელსაც ეგვიპტე ღებულობდა, უმრავლეს შემთხვევაში რუსული წარმოშობისა იყო“-ო.

გრ. აბულაძე

(დასასრული იქნება)

მეგობრო ხელშეკრულება დასდეს იოანე მრისხანესთან და მიიღეს რუსეთის პროტექტორატი. ამ დროიდან საქაართველოშიც მეტ ინტერესს იჩენენ რუსეთისადმი და ქართული საგარეო პოლიტიკისათვის ამ ქრისტიანული ძლიერი სახელმწიფოს — როგრც თითონ ეძახდენ: მესამე რომის — გავლენისა და ძალის გამოყენება საერთო მტრების, მაჰმადიანების წინააღმდეგ, აქტუალურ საკითხად იქცევა. მე-18 საუკ. დასაწყისში რუსეთს უკვე უპყრია ჩრდილო კავკასია და უკრაინა. 1735 წ. ჩრდ. კავკასიაში რუსების მთავარი ბაზა ყიზლარია. 1763 წელს არსდება ახალი ციხე-ქალაქი მოზდოკი, რომელიც დიდ გარნიზონს იტევს. 1769 წელს ე. წ. „კავკასკი ლინიის“ გასამაგრებლად აქ ასახლებენ ვოლგის ყაზახებს: არსდება ახალი ციხე-გარნიზონები — გიორგევსკი, სტავროპოლი და ეკატერინოდარი. 1799 წელს დამორჩილებულ იქმნა ყაბარდო და გააძლიერეს პოტიომკინის მიერ დაარსებული ვლადიკავკაზი. 1782 წელს რუსეთი იპყრობს ყირიმს, ტამანის ნახევარკუნძულს და ყუბანის მთელ მხარეს. ამის შემდეგ რუსეთი ზღვითაც უახლოვდება საქართველოს. ყველა ეს ფაქტები ცხადად მოწმობდა რომ საქართველო უკვე მოქცეული იყო რუსეთის პოლიტიკური მიზნების ცენტრში და ახლო მომავალში საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო.

ერეკლე მეორე მუდამ სახელმწიფოებრივი ინტერესებით ხელმძღვანელობდა, ამიტომ მისი საგარეო პოლიტიკა — პირობების ცვალებადობის გამო — უცვლელი ვერ დარჩებოდა. ერეკლე ნამდვილი რეალისტი იყო. ის მუდამ სინამდვილით, ობიექტური ფაქტებით ხელმძღვანელობდა. 1782 წლის სექტემბერში კავკასიის ჯარების მთავარსარდლად დანიშნულ პავლე პოტიომკინს (პირველის ბიძაშვილს) ჩრდ. კავკასიაში ჰყავს დაბანაკებული: 23 ქვეითა ჯარის ბატალიონი, დრაგუნების 20 ესკადრონი; არტილერიის 4 კომპანია; დონის ყაზახების 4 პოლკი და 10 ათასამდე კალმიკები. პოტიომკინს სრულიად გარკვეული მიზანი აქვს. ეს მიზანი ერეკლესთვისაც ცხადია. კავკასიონის ქედიდან ფინლანდიამდე გადაჭიმული ქვეყანა დარიალის კარებს მოადგა. რუსს ერთ ხელში ჯვარი ეჭირა და მეორეში ხმალი. ჯერ-ჯერობით წინ ჯვარი მოუძღოდა მაგრამ თუ მოლაპარაკებით მიზანს ვერ მიაღწევდა, ცხადია ძალას იხმარდა. გონიერება მოითხოვდა კარზე მომდგარ ამ დიდ ძალასთან საერთო ენა მონახულიყო. ეკატერინე მეორისა და მისი მინისტრების წერილები ერეკლესადმი მოქარგულია ქათინაურებით და საქართველოს ბრწყინვალებას ჰპირდებიან. მეფემ ყოყმანის შემდეგ დასძლია წარსულის მწარე გამოცდილებით აღძრული იჭვები და რუსებთან მოლაპარაკება დაიწყო. პირველი კონტაქტისა და გამამხნევებელი პასუხის შემდეგ ერეკლე სრულუფლებიან წარმომადგენლებს ჰგზავნის ხელშეკრულების ტექსტით, რასაც ტფილისშივე იმუშავებენ. ქართულ რადაქციაში რუსებს მცირე ცვლილებები შეაქვთ და მოლაპარაკება სრულდება შეთანხმებით 24 ივლისს 1783 წელს.

ამ ტრაქტატის ძალით ქვეყნის საშინაო მართველობაში რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო: ჯარი, ადმინისტრაცია, სასამართლო, სკოლები, ფინანსები, გადასახადები და სხვა ძველებურად ქართველი მეფის კომპეტენციაში რჩება. რუსეთი კისრულობს აგრეთვე სამეფო ტახტის ბაგრატიონთა მემკვიდრეებისათვის დაცვას. ხელუხლებელი, მაშასადამე დამოუკიდებელი უნდა დარჩენილიყო ქართული ეკლესია. მეფეები ურთიერთს უგზავნიან ელჩებს. ქართველი მეფე იზღუდებოდა მხოლოდ საგარეო პოლიტიკაში — მას რუსეთის მტრები თავის მტრებადაც უნდა მიეჩნია. სამაგიეროდ რუსეთიც ასე უნდა მოქცეულიყო და საქართველო დაეცვა გარეშე მტერთაგან. ხელშეკრულება შესდგება 13 მუხ. და 4 დამატებითი თავისაგან. როგორც ვხედავთ ამ ხელშეკრულებაში ისეთი არაფერია, რითაც რუსეთს თავისი ნამოქმედარის გამართლება შეეძლოს. მიუხედავად იმისა რომ ხელშეკრულებას საქართველოსთვის საგულისხმო სარგებლობის მოტანა შეეძლო, თავიდანვე რუსეთთან დაახლოების წინააღმდეგნი იყვნენ ალექსანდრე ბატონიშვილი, დავით ორბელიანი — სიძე ერეკლე მეორისა და მთავარსარდალი ქართული ჯარებისა — და სოლომონ ლეონიძე. სამწუხაროდ ცხოვრებამ ამათი იჭვები გაამართლა და ამ ტრაქტატის ხელმოწერიდან 17 წლ. თავზე, 1801 წელს რუსეთმა საქართველოს სრული ანექსია მოუხდინა.

ქართული ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა. ყველა არსებული ეროვნული ორგანიზაციები: ქართული ადმინისტრაცია, სასამართლო, ქართული კანონები, ჯარი, ფინანსიური სისტემა და ფული, გადასახადების ნორმები, სოციალური ფენების უფლებები და ურთიერთ დამოკიდებულება და საერთოდ საზოგადოებრივი წყობილების მთელი სტრუქტურა, რომელიც ქართველი ერის სულიერ მოთხოვნილებებთან იყო შეგუებული და ხანგრძლივი პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შედეგად დამყარებული, ერთის დარტყმით, ერთბაშად უარყოფილ იქმნა და დამყარდა სრულიად ახალი, ქართველებისათვის უცნობი წყობილება ადამიანის უფლებისა და მოვალეობის ახალი განსაზღვრით, უცნობი იურიდიული ნორმებით, უცნობი სოციალური იერარქიითა და აღმასრულებელი ორგანოების არაჩვეულებრივი მრისხანებით.

ქვეყნის მართველობა ჩაბარდა მთავარმართებელს, რომელიც იმავე დროს რუსული ჯარების მთავარსარდალიც იყო. ის იყო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მეთაურიც. უფლებრივად ის იყო ნამდვილი დიქტატორი და ბატონი ამ მხარისა, რომელსაც შეეძლო პეტერბურგის დაუკითხავად, საკუთარი გაგებით ემოქმედნა. საქართველოს ტერიტორია დაყოფილ იქმნა რუსული ადმინისტრატიული მართველობის სისტემის მიხედვით და ადმინისტრატიული ერთეულების უფროსებად დაინიშნა რუსეთიდან სასჯელის მოსახდელად გამოძევებული უზნეო, მექრთამე და ლოთი მოხელეები.

რუსეთის ასეთ უხეშ პოლიტიკას მოჰყვა ქართველების წინააღმდეგობა: იწყება ეროვნული თავისუფლებისათვის, ეროვნული სახელმწიფოს აღსადგენათ, მთელი საუკუნე გაგრძელებული უმაგალითო ბრძოლა...

პირველი აჯანყება კახეთში, ქიზიყში დაიწყო 1802 წლის აგვისტოში და იმ დროიდან 1917 წლამდე ქართველობამ 27 აჯანყება მოაწყო, ე.ი. საშუალო რიცხვით ყოველ 4 წელიწადში ახალი ბრძოლებია.

ამ ბრძოლების აღწერას მე არ შევუდგები —ეს საყოველთაოდ ცნობილია. აღვნიშნავ მხოლოდ ერთ მომენტს: რუსები ხშირად იმეორებენ — ჩვენ საქართველოს ზავი და მშვიდობა მოუტანეთ და ამით სრულიად გაქრობისაგან ვიხსენითო. რაც რუსეთმა საქართველო შეიერთა, ორივე სამეფოში მოსახლეობის რიცხვი დაახლოებით უდრიდა ერთნახევარ მილიონს. ქართული მოსახლეობის ზრდის ნორმა არის 2%. თუ მოსახლეობას ვიანგარიშებთ ერთ მილიონად და მისი ზრდის ნორმად მხოლოდ 1%-ს, მაშინაც მართლა რომ ჩვენ ზავი გვქონოდა, 150 წლის თავზე, უნდა ვიყოთ 7 მილიონი. სინამდვილეში ნახევარიც არა ვართ.. არა ,რუსეთს ჩვენთვის არც ზავი მოუტანია. მთელი მეცხრამეტე საუკუნე დაუცხრომელი ბრძოლებია და ამას ეწირება ქართველი ერის ფიზიკური პოტენციის ნახევარზე მეტი.

(დასასრული მომავალ ნომერში)

† ალ. ცომაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ-ნ გრ. ურატაძის წიგნის გამო

(გაგრძელება. იხ. № 16)

მარქსის და ენგელსის შეხედულება იმ ხანებში პოლონელების, ჩეხების და სამხრეთ სლავების მიერ წარმოებულ ბრძოლაზე ეროვნულ დამოუკიდებლობის აღსადგენად, ნათელჰყოფს მათ მიერ ამ ბრძოლის უარყოფას. ასე მაგ. თავის წერილში მარქსისადმი 23.5.51 ენგელსი სწერს: „პოლონელები ისტორიის მხოლოდ ერთ წამისთვის არიან დანიშნულნი, მათ შეუძლიათ ერთად ერთ პროგრესიულ ამოცანის შესრულებაში თანამშრომლობა და სახელდობრ — საერთო ეროვნულ ამბოხებით, ცარიზმის დამხობაში შველა, მაგრამ შეასრულებენ თუ არა ისინი ამ ამოცანას, პოლონეთს აღარავითარი **„რეზონ დ,ეტრი“** — აღარა აქვს. ამის შემდეგ სწორი პროგრამა იქნება, რომ პოლონეთს დასავლეთით ჩამოერთვას რაც კი შეიძლება, მათი ციხე-სიმაგრეები, ფითქოს მათ დასაცავად, გერმანელებით ოკუპაციია..., თვითონ პოლონელების ბრძოლის ცეცხლში გეგზევნა, მათი ქვეყნის ამოჭმა“. გაცილებით მეტი უარყოფით უყურებს ენგელსი ჩეხების და სამხრეთ სლავების ცდებს დამოუკიდებლობის აღსადგენად, რომლებზედაც იგი სწერს იმავე წერილში: „არას დროს არ ყოფილან ესენი რაიმე პროგრესის მატარებელნი და ვერც გახდებიან ასეთნი. ამ ერებს არავითარი ისტორიული მომავალი არა აქვთ... შეუძლებელია, რომ ნამდვილ რევოლუციონერს რაიმე ინტერესი ჰქონდეს ამ ერების დამოუკიდებლობაზე და თავისუფლებაზე.“ (იხ. ფრანც მერინგ: კარლ მარქსის, ფრიდრიხ ენგელსის და ფერდინანდ ლასალის ლიტერატურული ნარჩენი, გვ. 251)

1844 წლიდან, ე. ი. როდესაც 25 წლის მარქსმა, პარიზში თავისი „კროიცნახერი რეფუგიუმი“ გამოაქვეყნა, რომელშიაც მან თავისი საკუთარი ხალხი ებრაელები მიწასთან გაასწორა და მათ ეროვნულ არსებობის უფლება ახადა,— 1874 წლამდე, რომელშიაც მარქს-ენგელსის უკანასკნელი საერთო შრომა „ანტი-დიურინგი“ გამოქვეყნდა, ე. ი. 30 წლის მანძილზე, მათ ნაშრომებში წითელ ხაზით გატარებული არის „კომუნისტურ მანიფესტში“ ჩაწერილი დებულება, რომ **„მუშებს სამშობლო არა აქვთ“, და რომ მათი — მუშების, გაერთიანება. მათ პროფესიულ ანუ კლასობრივ ინტერნაციონალურ ორგანიზაციებში“ უნდა მოხდეს.**

ძნელი წარმოსადგენია, ამ აზრების და შეხედულებების ადამიანები, ერის განმანთავისუფლებელის როლში, უფრო ძნელი წარმოსადგენია, ჩაგრული ერის წარმომადგენელი. გაცნობილი მარქს-ენგელსის ამ შეხედულებისა, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლის როლში. ალბათ ამით უნდა აიხსნებოდეს ბ-ნ გრ. ურატაძის საკვირველი გულგრილობა, საქართველოს ისტორიის წარსულისადმი, რომელიც „კლასობრივ“ თვალსაზრისით სავსეა „მისი კლასობრივ პარტიის“ მტრების, თავადების, ინტელიგენციის, ბურჟუაზიის წარმომადგენლების და სამღვდელოების გმირული თავდადების მაგალითებით, მათი მშობლიური ერის საკეთილდღეოთ.

ბ-ნი ურატაძე ცდილობს, თავისი პარტიის ეს „კლასობრივი ხასიათი“, ბოლშევიკებისაგან განსხვავებულად, შეასუსტოს იმ განცხადებით, რომ მის პარტიას „კლასი“, როგორც მთელი ხალხის ნაწილი ესმოდა (გვ. 10), საუბედუროდ არც მარქსი და არც ბოლშევიკები არასოდეს არ ამბობდნენ, რომ კლასები ერის ან ხალხის ნაწილები არ არიან! პირიქით, მარქსიც, მენშევიკებიც და ბოლშევიკებიც ყოველთვის ამტკიცებდნენ, რომ „კლასები“ ხალხის ნაწილებია, მაგრამ ერთმანეთისადმი მოწინააღმდეგე და შეურიგებელი, ამიტომ მიისწრაფოდნენ ისინი ამ „კლასების“ მოსპობის შემდეგ ე.წ. „უკლასო საზოგადოებისაკენ“, რომელსაც ისინი **სოციალისტურს** უძახიან. რომ ბ-ნ ურატაძეს და მის პარტიას იგივე უნდოთ სჩანს მისივე განცხადებიდან მე-10 გვ.: „იმყოფებოდა რა რევოლუციის სათავეში და სარგებლობდა რა ფართო მასების ნდობით, ქართულ სოციალ-დემოკრატიას ადვილად შეეძლო „სოციალიზმის განხორციელების“ დაწყება, მაგრამ მან იცოდა, რომ ამ მიზნისათვის მარტო სურვილი და ხელისუფლება არ კმარა, — და შემდეგ იმავე გვ-ზე,: „სოციალიზმი არის შედეგი განვითარებული ეკონომიური ცხოვრებისა... და რომ საჭირო იყო ბევრი დრო, **ვიდრე ქართული ეკონომიური ცხოვრების შეთვისებას“**. ე.ი. გინდა თუ არ გინდა ქართველო ხალხო, მაგრამ სოციალიზმს ვერ გადაურჩები, რა უშავს, რომ მარქსი „მუშათა კლასს ანთავისუფლებდა“, რომლის ნატამალიც კი არ იყო, 1917 წელს საქართველოში, ბ-ნი მარქსისტები „სოციალიზმის“ ასაშენებლათ გლეხებსაც გააპროლეტარებდნენ, როგორც ეს ბოლშევიკებმა გააკეთეს იმავე „მარქსის რეცეპტით“, კოლხოზ-სოვხოზების ნაძალადევი დაარსებით, მაშინ როდესაც მათი აზრით „ეკონომიურ ცხოვრებამ“ საჭირო განვითარებას მიაღწია! და განა „კოლხოზის და სოვხოზის“ მუშა „პროლეტარი არ არის?

თუმცა მარქს-ენგელსის „კლასობრივ ბრძოლებისათვის“ მთავარი მომქმედი ძალა ინდუსტრიელური მუშე-პროლეტარი, არ იყო არც საქართველოს და არც ამიერ კავკასიის ტერიტორიაზე — ანდა მათი რიცხვი უმნიშვნელო იყო, ბ-ნი ურატაძე მაინც სწერს თავისი შრომის მე-10 გვ-ზე: „პარტია იყო მარქსისტული, იგი ურყევად იდგა კლასობრივ ბრძოლის პოზიციებზე..“ რას ნიშნავს ეს განცხადება? რომელ „კლასს“ წარმოადგენდა ეს პარტია? და როგორ უნდა წარმოიდგინოს ობიექტურმა მკვლევარმა, ქართველი ხალხის „კლასობრივი“ შემადგენლობა, თუ იგი ბ-ნ ურატაძის განცხადებას მიაქცევს ყურადღებას შემდეგ გვერდზე: „ის ფაქტი, რომ ქართველმა ხალხმა ასეთი უმრავლესობით მისცა თავისი ხმები სოც.-დემოკრატებს, არა ნიშნავდა იმას, რომ ყველაფერი მზად იყო სოციალიზმი გ ა ნ - ს ა ხ ო რ ც ი ე ლ ე ბლად, არამედ იმას, რომ **პარტიის პოლიტიკა იყო სწორი და რომ ხალხის დიდი უმრავლესობა ანდობდა მხოლოდ მას თავის ბედს.“**! ე. ი. ქართველი ხალხი, რომელიც გლეხური და არა პროლეტარული იყო, „კლასობრივ“ და მარქსისტულ შეხედულების ყოფილა? ჩვენის აზრით ეს განცხადება, სუფთა წყლის ფალსიფიკაციას წარმოადგენს, მით უფრო თუ გათვალისწინებული იქნება მარქს-ენგელსის შეხედულება გლეხობაზე.

ასე მაგ. მარქსი სწერდა თავის წერილში 1848 წ. 14 აგვისტოს ენგელსს: „გლეხები სოფლის მეურნეობაში, შეიძლება დატოვებულ იქმნენ, როგორც პირველი საჭირო საფეხური, მაგრამ საბოლოოდ ისინიც მოსპობილ უნდა იქმნენ“, შესაძლებელია ბ-ნ ურატაძეს ეს წერილი არ ჰქონდეს წაკითხული, მაგრამ „კომუნისტურ მანიფესტს“, რომელიც მარქს-ენგელსის მიერ იყო შედგენილი იგი აუცილებლად იცნობს და იქ კი სწერია: „შუა ფენები, პატარა ინდუსტრიალები, პატარა ხელოსნები და გლეხები, სისხლამდე „რეაქციონერები“ და კერძო საკუთრების „ფანატიკოსები“ განადგურებულ უნდა იქმნენ“. საინტერესოა, როგორ ათავსებს ბ-ნი ურატაძე მარქსიზმის ამ ძირითად თეზას, თავისი ხალხის ინტერესებს, როდესაც ამ ხალხის 80% — გლეხური იყო? ჩვენ გვჯერა, რომ მას ამ გლეხობის ფიზიკური განადგურება არა სურს, მაგრამ თუ ის მარქსისტია და ამას კი იგი თვითონვე გაიძახის, მაშინ იგი უნდა ცდილობდეს ამ „კერძო საკუთრების ფანატიკოსების“ — დაქირავებულ მუშა-პროლეტარებად გადაქცევას, ე. ი. იმავეს რაც ბოლშევიკებმა გააკეთეს თავისუფალ გლეხობის — კოლმეურნე ყმებად გადაქცევით.

მიუხედავათ ზემოდ მოყვანილი მაგალითებისა ბ-ნ ურატაძეს თავისი შრომა, რომ საქართველოს სოც.-დემოკრატიულ მოძრაობის ისტორიად გამოეცა, ალბად არავის დაებადებოდა აზრი მისი შრომის გაკრიტიკებისა, საუბედუროდ მან სცადა თავისი პარტიის ისტორიის — საქართველოს ისტორიად გასაღება და ამით ერთის მხრით ქართველთა დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებაში ეჭვი შეიტანა და მეორეს მხრით კი ქართველთა ბუნებისათვის სრულიად უცხო, მარქსის ცნება, ქართულ იდეოლოგიად გაასაღა. იგი სწერს თავისი შრომის მე-10 გვ-ზე: „ამგვარად, მთელი რევოლუციური მოძრაობა მიმდინარეობდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თითქმის განუყოფელ ხელმძღვანელობის ქვეშ.“ ამიტომ იგი მხოლოდ ამ პარტიის მუშაობაზე ჩერდება. ჩვენთვის მხოლოდ ის არის საკვირველი, რომ ბ-ნი ურატაძე საჭიროთაც არ სთვლის, 1919 წლის არჩევნებში მონაწილე პარტიების დახასიათებასაც კი, რათა ამით მაინც ეჩვენებინა, ქართულ საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების მრავალფეროვანება — მისი აზრით, ალბათ უკეთესია, იმის ჩვენება, რომ ქართველი ხალხი „ერთსულოვნად“ იდგა მენშევიკების გენერალური ხაზის უკან.

ბ-ნ ურატაძის განცხადებით (გვ. მე-10-ე) მისი პარტია **„სჭარბობდა აგრეთვე ქართველი ხალხის ეროვნულ პრობლემების გადაწყვეტაშიაც“**. ალბათ ამის დასასაბუთებლათ იგი სწერს იმავე ფურცელზე: „ქართულ სოც.-დემოკრატიულ პარტიის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის დანარჩენ ხალხებთან ერთად, მიელო მონაწილეობა რუსეთის იმპერიის ჩარჩოებში — საერთო რევოლუციურ ბრძოლაში (ფრონტში.“ გვ. 9.) რასა ნიშნავენ ეს ფრაზები? რა დამოკიდებულება არსებობდა ქართველ **ერის** (არა ხალხის) ეროვნულ პრობლემების და რუსეთის იმპერიის ჩარჩოების შორის? ანდა როგორ შეეძლო ქართველ ერს თავისი ეროვნულ პრობლემების გადაჭრა რუსეთის იმპერიის ჩარჩოებში?

(გაგრძელება იქნება)

გ. ვეფხვაძე

შორის მძულვარების ქადაგება ლოღიკურად სამოქალაქო ომს იწვევს, გაცილებით უფრო მწვავეს და სისხლიანს, ვიდრე ჩვეულებრივი, როდესაც ძმა ძმის მტრად ხდება, შვილი მამისა, მეგობარი მეგობრისა. ადამიანში თანდაყოლილი კეთილშობილი და ჰუმანიური გრძნობები ჰქრება და ბატონდება ქვენაგრძნობანი და დაბალი ინსტიქტები, რომელნიც ქვეყანას დაღუპვისაკენ მიაქანებს. რუსეთში მომხდარი ამბები ამის საუკეთესო დამამტკიცებელია.

დ. სალირაშვილი

(გაგრძელება იქნება)

ცნობები საქართველოდან

პროფ. შ. ნუცუბიძის წიგნი. დაიბეჭდა შ. ნუცუბიძის ნაშრომი **„ქართული ფილოსოფიის ისტორია“** ტომი პირველი, რომელიც ლექციებად იკითხებოდა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ეს საყურადღებო ნარკვევი პირველი ცდაა ძველი ფილოსოფიური ძეგლების სისტემატიური შესწავლისა (როგორც ორგინალურის, ისე ბერძნულიდან და სხვა ენებიდან ნათარგმნისა).

ვახ. ბერიძეს გამოკვლევა. ახალგაზრდა მეცნიერი ვ. ბერიძე დიდი ხანია მუშაობს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების შესასწავლად. მას ეკუთვნის მრავალი ნაშრომი ამ დარგში. 1955 წ. მან გამოაქვეყნა კაპიტალური გამოკვლევა **„სამცხის ხუროთმოძღვრება 13-16 საუკუნეებში“**. ახლახან გამოაქვეყნა **„ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები“**, სადაც განხილულია ქართველი ხუროთმოძღვრების სრული ბიოგრაფია, ხანა მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობისა.

რუსულ-ქართული ლექსიკონი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოუშვა რუსულ-ქართული ლექსიკონის პირველი ტომი. ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიაში შედიან: პროფ. გ. ახვლედიანი, ქ. დათიკაშვილი, დოც. ს. ვაჩნაძე, პროფ. ვ. თოფურია, პროფ. ქ. ლომთათიძე, ნ. ღოღობერიძე, პროფ. აკ. შანიძე, პროფ. ა. ჩიქობავა და პროფ. გ. წერეთელი.

რუსულ-ქართული ლექსიკონი შედგენილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ იგი გამოდის სამ ტომად, შეიცავს 64.687 სიტყვას.

ახალი შრომები. შედგენილია და გამოსაცემად მზადდება **„ქართული ფილოსოფიის ისტორიის მასალები“**, ორ ტომად. აგრეთვე იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა ნარკვევები „ქართული ფილოსოფიური და საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიიდან“, სხვა და სხვა ავტორების მიერ შედგენილი.

აკადემიკოსი კორ. კეკელიძე. კ. კეკელიძეს ორასზე მეტი სამეცნიერო და ძველი ქართული ტექსტები აქვს გამოქვეყნებული. ამ მუშაობის შედეგები თავმოყრილი და განზოგადებულია ძველი ქართული მწერლობის ისტორიის ორ ტომში, აგრეთვე ქართული ლიტერატურის ეტიუდების ოთხ წიგნში, რომელთაგან უკანასკნელი წიგნი გამოიცემა სულ მოკლე ხანში. მისი გამოკვლევების დიდი ნაწილი თარგმნილია რუსულ და ევროპულ ენებზე. 1955 წელს გერმანულ ენაზე გამოვიდა მისი ქართული მწერლობის ისტორიის პირველი ტომის შემოკლებული თარგმანი. დიდი მნიშვნელობა აქვს კ. კეკელიძის შრომებს აგრეთვე ძველი ქართული თეატრის და დრამატურგიის შესწავლისათვის. ფრიად საყურადღებოა მისი დაკვირვებანი მისტერიებსა და ხალხურ სანახაობებზე.

აღსანიშნავია, რომ ძველი ბერძნული ლიტერატურის ზოგიერთი ძეგლები, რაც ფილოლოგიურ მეცნიერებას დაკარგულად მიაჩნდა სამუდამოდ, აღმოჩენილ იქმნა მათი თარგმანები ძველ ქართულ ხელნაწერებში. აკ. ნიკომარმა პირველმა გამოაქვეყნა ქართულ მწერლობაში შემონახული იპოლიტე რომაელის **„ქება ქებათანის განმარტება“**. 1905 წლიდან მოკიდებული ამ პრობლემას სწავლობს პროფ. კეკელიძე და მან დიდ შედეგებს მიაღწია: ე.წ. იერუსალიმის მე-7-ე საუკუნის ერთად ერთი კალენდარი, აქამდე დაკარგული ეგონათ. მისი ქართული თარგმანი კ. კეკელიძემ სვანურ ხელნაწერებში აღმოაჩინა და გამოსცა 1916 წ.

ევროპელმა ბიზანტოლოგებმა მხოლოდ სახელი და ორიოდე თხზულება იცოდნენ განქმული მწერლის **სვიმეონ მატაფრასტისა** (7ს.), ხოლო მის მიმდევარ **იოანე ქსიფილონისზე**, მათ წარმოდგენაც კი არ ქონდათ. კ. კეკელიძემ ქართულ ძეგლებში აღმოაჩინა, როგორც მათი ბიოგრაფია (მოსახსენებელი), ისე მათი ნაწერები.

მსოფლიო სამეცნიერო მნიშვნელობა აქვთ ქართულ მწერლობაში აღმოჩენილ **იპოლიტე რომაელის** (3ს.) ზოგ „განმარტებას“ („თარგმანება“ —კომენტარი, „ეგზეგეტიკა“), **მიტროფანე** სმირნელის (9ს.) „თარგმანებას ეკლეზიასტისა“ და სხ., **პროკოფი გაზელის** „კატუნებს“ და სხ., რომლებიც შესწავლილი აქვს ჩვენს მეცნიერს.

ძველ ქართულ ხელნაწერებში აღმოჩნდა აგრეთვე „ცხოვრებანი“ **ტიმოთე ანტიოქელისა** (სირია), **ორენტიოსისა** და სხ. ისინი ამ ჟამად გამოცემულია კ.კეკელიძის რედაქციით.

ჩვენი მეცნიერის დამსახურებაა, რომ ამიერიდან ვერც ერთი მკვლევარი, რომელიც სერიოზულად სწავლობს საშუალო საუკუნეების ხალხთა ხელოვნებას და ლიტერატურას, ქართულ მწერლობას და მისი ისტორიის მკვლევართა შრომებს გვერდს ვერ აუვლის.

ილია ჭავჭავაძის მუზეუმი. ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 და გარდაცვალების 50 წ. თავის აღსანიშნავად სოფ. ყვარელში არსებულ მუზეუმის მთავარ შენობას უკეთდება კაპიტალური შეკეთება. მოკლე ხანში დამთავრდება ეზოს კეთილმოწყობა, შენდება ახალი შენობა ბიბლიოთეკისათვის, მოეწყობა აუზი, რომელსაც დაამშვენებს ქანდაკება „კაკო და ზაქრო კუდიგორასთან.“

მუზეუმში წარმოდგენილია უამრავი მასალები პოეტის სამშობლოს — ყვარელის მდიდარი ისტორიული ძეგლების შესახებ (ყვარელის ციხე, გრემის ნანგრევები და სხ.). აგრეთვე მუზეუმში თავმოყრილი ძველი და ახალი შეძენილი მრავალი დოკუმენტები, რომლებიც ნათელ ფურცლებს შემატებენ დიდი ილიას მრავალფეროვან ღვაწლს ერისა და სამშობლოს წინაშე. ასევე მთელს საქართველოში დიდი მზადებაა რათა ღირსეულად აღინიშნოს მისი გარდაცვალების 50 წ. თავი.

ემიგრაციაში

ლონდონი: საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე დიდის ენტუზიაზმით ჩატარდა. ოთხი წლის ბავშმა ნოდარ მენთეშაშვილმა მშობლიურ ენაზე წარმოსთქვა ღრმად პატრიოტული ლექსი, რომელმაც დამსწრე საზოგადოება აღაფრთოვანა.

ნიუ-იორკი: მაისის 26-ს სასტუმრო „ბილტმორის“ საზეიმოდ მორთულ ოთახში, ნასადილევის ორ საათზე შეიკრიბა ქართული საზოგადოება. სიტყვა წარმოსთქვა სათვისტომოს თავმჯდომარე ბ-ნ ვ. კობახიძემ. თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წაუკითხა ჩიკაგოში მცხოვრებ თანამემამულეთა მილოცვა, რის შემდეგ გაიმართა ლხინი.

პარიზი: ამ წელს 26 მაისის დღე პერიზში კარგად ჩატარდა. საღამოს დაესწრენ პრაჟალი უცხოელები და საქართველოს შესახებ სიტყვები წარმოსთქვეს მეზობელ და სხვა დაჩაგრულ ერთა წარმომადგენლებმა. კარგად იყო მოწყობილი სამხატვრო ნაწილიც და საზოგადოება კმაყოფილი დაიშალა.

ულრმესი გულისტკივილითა და მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ გასულ აპრილის 17-ს, ქ. კვინსში (შეერთ. შტატ.) გარდაიცვალა ცნობილი მოღვაწე და დამოუკიდებელი საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი აზერბეიჯანში:

ექ. გრ. ალშიბაია

გულწრფელ სამძიმარს და თანაგრძნობას უცხადებთ მის ქვრივს, ქალბატონ ბარბარეს, მის შვილებს და სიძეებს.

შ. შტატ. არსებულ ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე: **ვ. კობახიძე.**

„ქართული აზრი“-ს რედაქცია და ეროვნული ერთობის ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით და გულის ტკივილით აუწყებს საზოგადოებას, რომ გასულ მაისის 30-ს ვაშინგტონში ტრაღიკულად გარდაიცვალა ჩვენი უახლოესი თანამშრომელი და მეგობარი, ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წევრი და შეერთებულ შტატების საინფორმაციო სააგენტოს თანამშრომელი:

ზურაბ აბდუშელი

ულრმეს თანაგრძნობას უცხადებთ მის ქვრივს ქალბატონ ირინე ერისთავის ასულს და მისგან დამწუხრებულ მეგობრებს.

EDITORIAL BOARD Dr. G. Gabliani, S. Kaishauri, G. Lolua.
EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli.
12-29—120 St. College Point. L. I.
Directeur résponsable
Ch. Kalandadzé

Impr. de Navarre. 11, rue des Cordelières. Paris